

29.11.2016

Bureau van Dijk Editions Electroniques S.A 1/488

სალიცენზიო შეთანხმების პირობები

მნიშვნელოვანია, რომ ეს პირობები გამოწერის ფორმასთან ერთად არეგულირებს და აყალიბებს შეთანხმებას ლიცენზიარსა და ლიცენზიატს შორის, რომელიც ეხება ლიცენზიატისთვის ლიცენზიის მინიჭებას.

1. განმარტება

1.1 წინამდებარე სალიცენზიო შეთანხმების პირობებზე ვრცელდება ამ მუხლში მოცემული ცნებები და განმარტების წესები:

შვილობილი ნიშნავს ლიცენზიატის თითოეულ და ნებისმიერ ჰოლდინგურ კომპანიას ან შვილობილ კომპანიას და ლიცენზიატის ჰოლდინგური კომპანიის თითოეულ და ნებისმიერ შვილობილ კომპანიას;

შეთანხმება ნიშნავს ლიცენზიარსა და ლიცენზიატს შორის შეთანხმებას, რომელიც მოიცავს გამოწერის ფორმას და ამ პირობებს;

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ნიშნავს ყველა საავტორო უფლებას, უნიკალურ უფლებებს მონაცემთა ბაზაზე, ასევე პატენტებს, სავაჭრო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, ნოუ-ჰაუს, სავაჭრო საიდუმლოებებს, უფლებებს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ დიზაინზე, და ყველა სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, რეგისტრირებულს ან არარეგისტრირებულს და ყველა განაცხადს და უფლებას, დაარეგისტრიროს რომელიმე ზემოთ ხსენებული უფლება და დაცვის ყველა სხვა ფორმას მსგავსი ხასიათის ან ექვივალენტური ან მსგავსი ეფექტით, რომელიც შეიძლება არსებობდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში;

ვადა ნიშნავს ამ შეთანხმების ხანგრძლივობას, როგორც ეს განსაზღვრულია 3.2 პუნქტში და მოცემულია გამოწერის ფორმაში;

ლიცენზიატი ნიშნავს სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელსაც ლიცენზიარისგან გადაეცემა ლიცენზია პროდუქტთან დაკავშირებით ამ შეთანხმების პირობების თანახმად და რომლის დეტალები გადმოცემულია გამოწერის ფორმაში;

ლიცენზიარი ნიშნავს კომპანიას Bureau van Dijk Editions Electroniques S.A, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ფრონტენექსის გამზირი #8, 1207 ენევა, შვეიცარია;



1.7 მინიშნება კანონზე, კანონის დებულებასა ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე ნიშნავს მითითებას მათი ძალაში შესვლისთანავე, რომელიც კეთდება დროდადრო, ნებისმიერი ცვლილების ან ხელახალი ამოქმედების გათვალისწინებით და მოიცავს ნებისმიერ კანონს, კანონის დებულებას ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც მას ცვლის ან ხელახლა ამოქმედებს; იმ პირობით, რომ მხარეები ასეთ შესწორებას ან ხელახლა ამოქმედებას არ გამოიყენებენ ამ შეთანხმების მიზნებისათვის იმდენად, რომ გამოიწვიოს რომელიმე მხარისთვის ნებისმიერი ახალი ან გაფართოებული ვალდებულების ან შეზღუდვის დაკისრება ან სხვაგვარად უარყოფითად იმოქმედებს უფლებებზე.

1.8 მინიშნება კანონზე ან კანონის დებულებაზე მოიცავს ნებისმიერ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც კეთდება დროდადრო ამ კანონის ან კანონის დებულების შესაბამისად.

1.9 მითითება წერილზე ან ნაწერზე მოიცავს ფაქსებს, მაგრამ არა ელექტრონულ ფოსტას.

1.10 ნებისმიერი ფრაზა, მათ შორის ამ ტერმინებით დანერგილი, მოიცავს რა ცალკეულ ან რაიმე მსგავს გამოთქმას, უნდა იქნეს განმარტებული, როგორც ილუსტრაციული და არ უნდა ზღუდავდეს სიტყვათა მნიშვნელობას, რომელიც წინ უსწრებს ამ ტერმინებს. სადაც კონტექსტი იძლევა ამის საშუალებას, სიტყვები „სხვა“ და „სხვაგვარად“ ილუსტრაციულია და არ ზღუდავენ მათ წინმსწრებ სიტყვათა მნიშვნელობას.

1.11 ამ შეთანხმების თანახმად, ნებისმიერი ვალდებულება არაფრის გაკეთების თაობაზე ნიშნავს ვალდებულებას, რომ არ მოხდეს მისი გაკეთების დაშვება.

2. გამოყენების სფერო

2.1 ამ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულია ვადები და პირობები, რომლებიც ვრცელდება ლიცენზიატზე მიწოდებულ ყველა პროდუქციაზე ნებადართულ ობიექტებზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ლიცენზიატმა არ უნდა არ და უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთმა მისმა თანამშრომელმა ან კონსულტანტმა ან რომელიმე მისმა შვილობილმა კომპანიამ ან ასეთი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებმა ან კონსულტანტებმა გამოიყენონ ან სხვაგვარად გამოიყენონ პროდუქტი ნებადართულ ადგილებს გარეთ, თუ ამ პირებს არ გააჩნიათ ცალკე დადებული ხელშეკრულება ლიცენზიართან პროდუქტის ნებადართული ადგილების გარეთ გამოყენების შესახებ. ლიცენზიატი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ლიცენზიარს მე-2 პუნქტის ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.



პროდუქტი ნიშნავს პროგრამულ უზრუნველყოფას/კომპიუტერულ პროგრამებს, რომელიც ჩამოთვლილია გამოწერის ფორმაში და ყველა განახლებას მოქმედების ვადის მანძილზე, ასევე ნებისმიერ მონაცემს, ტექსტს, ინფორმაციას და პროგრამული უზრუნველყოფის ან სხვა სახის მასალას და ყველა თანმხლებ წერილობით მასალას, რომელიც გადაეცემა ლიცენზიატს ამ შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერი გზით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი მონაცემთა მატარებლის მეშვეობით, რომელიც ამჟამად ცნობილია ან მომავალში შეიქმნება, მათ შორის CD-ROM და DVD-ROM ან ონლაინ კომუნიკაციის და მიწოდების ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის კომუნიკაცია და მიწოდება ინტერნეტის მეშვეობით) და მოიცავს ნებისმიერ განახლებას, რომელიც მითითებულია გამოწერის ფორმაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სააბონენტო საფასური ნიშნავს ლიცენზიის საფასურს, რომელიც ექვემდებარება გადახდას პროდუქტის მისაღებად იმ ვადით, როგორც მოცემულია გამოწერის ფორმაში და რომელსაც ლიცენზიატი უხდის ლიცენზიარს მე-6 მუხლის შესაბამისად;

გამოწერის ფორმა ნიშნავს გამოწერის ფორმას, გაცემულს ორ ეგზემპლარად ლიცენზიარის მიერ (თან ახლავს ამ პირობებს), რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიატს და შეიცავს შეთანხმების კონკრეტულ პირობებს, რომლის ერთი ასლი ლიცენზიატის მიერ ხელმოწერილია კონტრასიგნირების წესით;

ნებადართული ობიექტები ნიშნავს ლიცენზიატის ოფისებს ან საოფისე ფართს ან განყოფილებებს ან დეპარტამენტებს, სადაც ლიცენზიატს შეუძლია გამოიყენოს პროდუქტი, როგორც ეს მითითებულია გამოწერის ფორმაში.

1.2 მუხლების სათაურები გავლენას არ ახდენენ ამ შეთანხმების განმარტებაზე.

1.3 პირი მოიცავს ფიზიკურ პირს, კორპორატიულ ან არაკორპორატიულ ორგანოს (ან უფლებების არ მქონე იურიდიულ პირს) და ამ პირის იურიდიულ და პირად წარმომადგენლებს, მემკვიდრეებს და ნებადართულ უფლებამონაცვლებს.

1.4 სიტყვები მხოლოდით რიცხვში შეიცავენ მრავლობითს და პირიქით.

1.5 მინიშნება ერთი სქესისადმი ასევე შეიცავს მითითებას მეორე სქესისადმი.

1.6 მინიშნება ნებისმიერი მხარესადმი მოიცავს ამ მხარის პირად წარმომადგენლებს, მემკვიდრეებს და ნებადართულ უფლებამონაცვლებს.



3. ლიცენზია, ვადა და მიწოდება

3.1 ლიცენზიატის მიერ ლიცენზიარისთვის სააბონენტო საფასურის გადახდის გათვალისწინებით, ლიცენზიარი ანიჭებს ლიცენზიატს არაექსკლუზიურ, არატრანსფერულ ლიცენზიას პროდუქტის გამოყენების მიზნით ვადიანი დროის მანძილზე ნებადართულ ადგილებზე და სხვაგვარად, როგორც ნებადართულია ამ შეთანხმებით (CPV48610000 - მონაცემთა ბაზის სისტემები).

3.3 ეს შეთანხმება იწყება დაწყების თარიღიდან, რომელიც მითითებულია გამოწერის ფორმაში და უნდა გაგრძელდეს ამ შეთანხმების მოქმედების ვადის მანძილზე, თუ ლიცენზიარი ან ლიცენზიატი არ შეწყვეტენ მას მე-8 პუნქტის შესაბამისად.

3.4 თუ ლიცენზიატი აგრძელებს პროდუქტით სარგებლობას მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, მაშინ ეს ჩაითვლება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებულ ქმედებად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიცენზიარი უფლებამოსილი იქნება, შეწყვიტოს ეს შეთანხმება ლიცენზიატისთვის წერილობითი შეტყობინების დაუყოვნებლივ გაგზავნის გზით.

3.5 ლიცენზია და ლიცენზიატის მიერ პროდუქტის გამოყენება ნებისმიერ დროს ექვემდებარება ჩამოტვირთვის ლიმიტს, მოცემულს გამოწერის ფორმაში. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატი გადააჭარბებს ჩამოტვირთვის გაცხადებულ ლიმიტს, ლიცენზიატის ხელმისაწვდომობა პროდუქტზე შეიზღუდება ვადის ბოლომდე, რომელსაც ჩამოტვირთვის ლიმიტი ეხება.

4. ინტელექტუალური საკუთრება

4.1 ლიცენზიატი აღიარებს, რომ ყველა უფლება, საკუთრების უფლება პროდუქტზე და ინტერესი, მათ შორის შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი და ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება, არსებული ან გამოყენებული პროდუქტთან დაკავშირებით, არის და დარჩება ლიცენზიარის ან მისი ლიცენზორების ქონებად, გარემოებებიდან გამომდინარე. ლიცენზიატს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს მასალა მხოლოდ ლიცენზიარის მიერ პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ლიცენზიატი არ იძენს რაიმე სახის უფლებებს (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს), პირდაპირ გამოხატულს ან ნაგულისხმევს ამ პროდუქტში ამ ხელშეკრულების საფუძველზე გარდა შემთხვევებისა, რომელიც მოყვანილია წინამდებარე დოკუმენტში.



4.2 ლიცენზიატს უფლება არ აქვს, ჩაატაროს საინჟინრო ანალიზი, დაშალოს, მოახდინოს დეკომპილაცია, გადააკეთოს ან შეცვალოს შექმნილი წარმოებული ნამუშევრები ან შეეცადოს, მიიღოს პროდუქტის ან მისი რომელიმე ნაწილის საწყისი კოდი ლიცენზიარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. ნებადართული გამოყენება

5.1 პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის ლიცენზიატის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ნებადართულ ადგილებში. ლიცენზიატს უფლება არ აქვს, მესამე პირს ამ პროდუქტის გამოყენების ნება დართოს ლიცენზიარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და ლიცენზიატი აღიარებს, რომ ასეთი თანხმობა შესაძლებელია იმ პირობით, თუ განხორციელდება დამატებითი სალიცენზიო ან სააბონენტო საფასურის გადახდა.

5.2 დაუშვებელია პროდუქტის მიწოდება, გაყიდვა, გაქირავება, ქველიცენზიის იჯარით გაცემა, გამოყენება, გადმოწერა, ხელმისაწვდომობა, ასლის დამზადება, გავრცელება, დისტრიბუცია, გამოქვეყნება, ჩვენება, რეპროდუცირება ან სხვაგვარად ექსპლუატაცია მოგების მიზნით ან სხვაგვარად, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ლიცენზიატმა არ უნდა ამოებჭდოს, ნებისმიერ ერთ შემთხვევაში ან რიგ შემთხვევებში, მონაცემები ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს პროდუქტი, რათა მოიპოვოს ასეთი მონაცემების ან/და ინფორმაციის სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილის ბეჭდური ვერსია. ლიცენზიატმა არ უნდა არ და უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთმა მისმა თანამშრომელმა და კონსულტანტმა და არც მისმა შვილობილმა კომპანიებმა ან მისი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებმა ან/და კონსულტანტებმა გამოიყენონ მონაცემები ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს პროდუქტი ისეთი პროდუქტის შექმნის მიზნით, რომელიც (ა) კონკურენციას გაუწევს ლიცენზიარს ან ნებისმიერ მის ლიცენზორს ან (ბ) უზრუნველყოფს ფუნქციურად მსგავსი ან არსებითად მსგავსი შინაარსის და თვისებების პროდუქტის შექმნას.

5.3 შესაძლებელია პროდუქტზე წვდომის პროგრამული უზრუნველყოფის გადაწერა/შენახვა მყარ დისკზე იმ პირობით, თუ იგი გამოიყენება პროდუქტში შემავალი მონაცემებსა და ტექსტზე მხოლოდ წვდომისა და მანიპულირების მიზნით.

5.4 ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს პროდუქტი, შეიძლება გადაიწეროს/შეინახოს მყარ დისკზე იმ პირობით, თუ:

5.4.1 ინფორმაციის გამოყენება შეესაბამება ნებადართულ გამოყენებას, როგორც ეს აღწერილია მე-5 პუნქტში ზემოთ; და

	საქართველოს საგარეო საკმეო საჩინოსტრო საქართველოს საგარეო შორისო ხელშეკრულებათა სტრუქტურის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION №	0313/1-16
თარიღი/DATE	29.11.2016
დამწებია/CERTIFIED BY	
Ministry of Foreign Affairs of Georgia TRANSLATION BUREAU	

5.4.2 ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა არ არის რაიმე სახის გადახდის საგანი ან რაიმე სხვა სახის კომერციული უპირატესობის მიღების სანაცვლოდ დაშვებული; ინფორმაცია არ არის გამოყენებული ისეთი პირობებით, როდესაც ეს წარმოშობს შემოსავლებს ლიცენზიატის ან ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ, გარდა ლიცენზიარისა.

6. გადახდები

6.1 სააბონენტო საფასური (რომელიც არ არის დაბრუნებადი) გადასახდელია ყოველწლიურად წინასწარ და ფიქსირებულია ერთი წლის განმავლობაში. ლიცენზიატი ვალდებულია გადაუხადოს სააბონენტო გადასახადი ლიცენზიარს 30 დღის განმავლობაში ვადის მოქმედების დაწყებიდან.

6.2 სააბონენტო საფასური და ყველა სხვა თანხა, რომელიც ექვემდებარება გადახდას ლიცენზიარის მიერ ამ შეთანხმების ფარგლებში, იგულისხმება დღგ-ს გარეშე, რომელსაც ლიცენზიატი დროდადრო გადაუხდის ლიცენზიარს მოქმედი განაკვეთის მიხედვით.

6.3 მე-7 პუნქტისადმი ზიანის მიყენების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატის მიერ ლიცენზიარისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა დარჩება გადაუხდელი ორ თვეზე მეტი ხნის მანძილზე გადახდის თარიღიდან, ლიცენზიარი იტოვებს უფლებას შეაჩეროს ლიცენზიატის წვდომა პროდუქტზე მანამ, სანამ ლიცენზიატი არ გადაიხდის ყველა დასაფარ თანხას (მათ შორის ნებისმიერ დარიცხულ პროცენტს) სრულად.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატი გადახდის თარიღის დადგომისას არ გადაიხდის ნებისმიერ გადასახდელ თანხას ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ ლიცენზიარი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, დაარიცხოს ლიცენზიატს პროცენტი ვადაგადაცილებულ თანხაზე, რომელიც ლიცენზიატმა მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს, გადახდის თარიღის დადგომიდან ფაქტობრივი გადახდის თარიღამდე, რაც ისევე, როგორც ადრე მიღებული გადაწყვეტილებით, წლიური 5% -ის ტოლფასია. ასეთი საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველდღიურად და შეჯამდება კვარტალურად.

7. შეწყვეტა

7.1 მე-7.2 პუნქტისადმი ზიანის მიყენების გარეშე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება მეორე მხარისადმი არანაკლებ ორი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით, ასეთი შეტყობინების ვადა იწურება მოქმედების ვადის ბოლო დღეს.

7.2 თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს მეორე მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გზით, თუ მეორე მხარე:



7.2.1 მატერიალურად ან მუდმივად არღვევს ამ შეთანხმების ნებისმიერ პირობას და შეუძლებელია ასეთი დარღვევის აღმოფხვრა, ან ვადაგადაცილებული მხარე ვერ ახერხებს დარღვევის აღმოფხვრას 30 დღის ვადაში წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან, სადაც მოთხოვნილია დარღვევის გამოსწორება; ან

7.2.2 ვერ ფარავს თავის ვალებს ან ხდება გადახდისუუნარო, ან ექვემდებარება ბრძანებას ან დადგენილებას მისი ლიკვიდაციის, მართვის, დახურვის ან დაშლის შესახებ (შერწყმის ან რეკონსტრუქციის მიზნების გარდა), ან ჰყავს ადმინისტრაციული ან სხვა მმართველი, მენეჯერი, ნდობით აღჭურვილი პირი, ლიკვიდატორი, ადმინისტრატორი ან მსგავსი თანამშრომელი, რომელიც დანიშნულია მისი მთლიანი აქტივების ან მისი რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილის მმართველად ან შედის ან სთავაზობს მის კრედიტორებს ნებისმიერ კომპოზიციას ან შეთანხმებას ზოგადად ან ექვემდებარება ნებისმიერ ანალოგიურ ღონისძიებას ნებისმიერი მოქმედი იურისდიქციის ფარგლებში.

7.3 ლიცენზიარს შეუძლია შეწყვიტოს ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ ლიცენზიატისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, თუ ლიცენზიატი განიცდის, ლიცენზიარის აზრით, მატერიალურ ცვლილებას საკუთრებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც ლიცენზიარის კონკურენტი ეფექტურად აკონტროლებს ლიცენზიატს. ლიცენზიატი ვალდებულია საკუთრებაში ამგვარი ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ, წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიარს.

7.4 ნებისმიერი მხარის მხრიდან ამ ხელშეკრულების შეწყვეტა, მე-7 პუნქტში გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად, უნდა მოხდეს იმ მხარის ნებისმიერი სხვა უფლების ან დაცვის საშუალებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც წარმოიშვა ამ შეწყვეტამდე.

7.5 რაიმე მიზეზის გამო შეწყვეტისას:

7.5.1 ლიცენზიატისადმი მინიჭებული ყველა უფლება ამ შეთანხმების შესაბამისად, მათ შორის მე-3 პუნქტით მინიჭებული ლიცენზია, ჩერდება და წყდება;

7.5.2 ლიცენზიატის წვდომა პროდუქტზე წყდება და ლიცენზიატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველანაირი საქმიანობა, ნებადართული ამ შეთანხმების საფუძველზე;

7.5.3 ლიცენზიატი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუხადოს ლიცენზიარს ნებისმიერი თანხა ამ შეთანხმების ფარგლებში; და



7.5.4 ლიცენზიატი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანადგუროს ან დაუბრუნოს ლიცენზიარს (ლიცენზიარის შერჩევით) პროდუქტის ყველა ასლი, რომელიც მის მფლობელობაშია, მასთან ინახება ან მის კონტროლზეა და განადგურების შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ლიცენზიარის წინაშე, რომ ეს უკვე განხორციელდა.

7.6 დებულებები პუნქტების 1, 2, 3, 4, 5, 4,6,7 და 10-დან 22-მდე რჩება ძალაში ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

8. გარანტიები

8.1 ამ შეთანხმების თითოეული მხარე სთავაზობს და აძლევს გარანტიას მეორე მხარეს, რომ მას გააჩნია და მოქმედების ვადის მანძილზე შეინარჩუნებს ყველა უფლებას, საკუთრების უფლებას და უფლებამოსილებას, რომ:

8.1.1 დადოს ეს ხელშეკრულება;

8.1.2 მიაწოდოს მეორე მხარეს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებები და ლიცენზიები; და

8.1.3 შეასრულოს ამ შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

8.2 ლიცენზიატი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ის, რომ ნებისმიერმა მისმა თანამშრომელმა და კონსულტანტმა და მისმა შვილობილმა კომპანიებმა ან მისი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებმა ან/და კონსულტანტებმა გამოიყენონ პროდუქტი ამ შეთანხმების შესაბამისად.

8.3 არანაირი გარანტია, ვალდებულება, პირობა ან წარმომადგენლობა, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ პროდუქტთან დაკავშირებით, არ მიიღება გარდა წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა და იმ მოცულობით, როგორც კანონით დაშვებულია. ყველანაირი პირობა, გარანტია, ვადა და ვალდებულება, პირდაპირ გამოხატული ან ნაგულისხმევი, ნორმატიულად ან სხვაგვარად ამ პროდუქტის მიმართ და ასევე ლიცენზიარის მიერ ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურება გამოირიცხება.



8.4 ზემოთქმულისადმი ზიანის მიუყენებლად, ლიცენზიარი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ პროდუქტის გამოყენება ამ შეთანხმების ფარგლებში შესაბამისობაში იქნება ლიცენზიატის მოთხოვნებთან მონაცემთა დამუშავების თაობაზე ან რომ პროდუქტის გამოყენება ან ექსპლუატაცია ამ შეთანხმების ფარგლებში იქნება შეუფერხებელი ან უშეცდომო. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატი აღმოაჩენს, ან ეჭვი შეეპარება პროდუქტში არსებულ ნებისმიერ შეცდომაზე, მაშინ ლიცენზიატი თანახმაა, მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიარს ასეთი შეცდომების თაობაზე, როგორც კი ეს პრაქტიკულად იქნება შესაძლებელი.

8.5 ლიცენზიატი ვალდებულია შეატყობინოს ლიცენზიარს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, საგარანტიო ვალდებულების დარღვევის თაობაზე და, მე-10 პუნქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ლიცენზიარს შეუძლია გამოასწოროს დარღვეული საგარანტიო ვალდებულება შემდეგი ერთ-ერთი ქმედებით:

8.5.1 პროდუქტის შეკეთებით; ან

8.5.2 პროდუქტის შეცვლით; ან

8.5.3 ამ შეთანხმების დაუყოვნებლივ შეწყვეტით ლიცენზიატისთვის შეტყობინების გაგზავნისთანავე და ნებისმიერი სააბონენტო საფასურის უკან დაბრუნებით, მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც გადახდილია ლიცენზიატის მიერ იმ ვადებში, რომლის განმავლობაში ლიცენზიარმა მიიღო შეტყობინება დარღვევის თაობაზე.

8.6 ლიცენზიატი იღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, რომელსაც დროდადრო იყენებს სრული მოცულობით, რაც აუცილებელია.

9. შეთავსებადობა

9.1 ლიცენზიარი და მისი ლიცენზორები არ იძლევიან გარანტიას ან პირდაპირ ან ირიბად გამოხატულ ინფორმაციას პროდუქტის ახლანდელი ან მომავალი თავსებადობის შესახებ ნებისმიერ ტექნიკასთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან და მიკროპროგრამასთან, და იტოვებს უფლებას შეცვალოს პროდუქტის სტრუქტურა, ორგანიზაცია, ფორმატები და ფუნქციონალურობა შეტყობინების გარეშე.

9.2 ლიცენზიატი ამით თავის თავზე იღებს ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებული იქნება პროდუქტის გამოყენებასთან ლიცენზიატის აღჭურვილობასთან ერთად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინტერფეისის პროგრამული უზრუნველყოფის, ბეჭდვის შესაძლებლობების და ხარისხის და პასუხის გაცემის სიჩქარის ჩათვლით.



10. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

10.1 ლიცენზიარი არ გამოორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას მისი დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილის ან სხეულის დაზიანების გამო.

10.2 მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიარმა ყველაფერი გააკეთა პროდუქტში არსებული ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულისთვის, ლიცენზიატი აღიარებს, რომ ეს მან უნდა შექმნას საკუთარი აზრი სანდოობაზე, რომელსაც ანიჭებს ინფორმაციას და/ან მონაცემებს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე ქულებს და რეიტინგებს), გამომდინარე ან მიღებულს პროდუქტიდან. ლიცენზიატი ასევე აღიარებს, რომ პროდუქტის შინაარსი არ და ვერ ჰქმნის ლიცენზიარის აზრს ან რჩევას. ლიცენზიარი არ იძლევა გარანტიას ან პირდაპირ ან ირიბად გამოხატულ ინფორმაციას პროდუქტის და პროდუქტისგან გამომდინარე ან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის ან მონაცემების ვარგისიანობასთან დაკავშირებით, ლიცენზიატის მიზნებისთვის. ასევე, ლიცენზიარი არ იძლევა პირდაპირ ან ირიბად გამოხატულ საგარანტიო ან სხვა ინფორმაციას, რომ პროდუქტი თავისუფალია შეცდომებისა და ხარვეზებისგან ან რომ პროდუქტის ოპერირება, მათ შორის წვდომის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც შეიცავს პროდუქტი, იქნება შეუფერხებელი ან უშეცდომო.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ 10.1 პუნქტის თანახმად პროდუქტს ან მის ნაწილს აღმოაჩნდება ნებისმიერი თანდაყოლილი დეფექტი, მაშინ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ლიცენზიარის პასუხისმგებლობისა და ლიცენზიატის ექსკლუზიური სამართალდაცვითი უფლების საფუძველზე უნდა მოხდეს ასეთი უხარისხო პროდუქტის ან მისი ნაწილის ჩანაცვლება.

10.4 ლიცენზიატი ვალდებულია ლიცენზიარის ანაზღაურებაზე და სრულად და ეფექტურად უნდა აუნაზღაუროს ყველა ქმედების, სარჩელის, ზარალის, პასუხისმგებლობის, სამართალწარმოების, ზიანის, ხარჯებისა და დანახარჯებისგან გამომდინარე შედეგები, რომელიც განიცადა ან მიაღდა ლიცენზიარს (გარდა ადვოკატის საფასურის და ხარჯებისა), რომლებიც წარმოიშვა ლიცენზიატის მიერ პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოყენების შედეგად ამ შეთანხმების პირობების საწინააღმდეგოდ. ლიცენზიატი ვალდებულია შეატყობინოს ლიცენზიარს წერილობით ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ 30 დღის განმავლობაში.

10.5 ყოველთვის ექვემდებარება რა 10.6 პუნქტის დებულებებს, ლიცენზიარი უნაზღაურებს ლიცენზიატს ნებისმიერ დანაკარგს ან ვალდებულებას, რომელიც მოჰყვა მესამე მხარის რაიმე პრეტენზიას ლიცენზიატის წინააღმდეგ, რომელიც ეხება ამ მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ფაქტობრივ ან სავარაუდო დარღვევას, გამომდინარე ლიცენზიატის მიერ პროდუქტის გამოყენებიდან ან მასთან დაკავშირებით.



10.6 ხელშეკრულების მიხედვით, ლიცენზიარი არ აგებს პასუხს სამოქალაქო სამართალდარღვევისას (მათ შორის, დაუდევრობის ჩათვლით) ან ნორმატიული მოვალეობის დარღვევისას ან რაიმე სხვა შემთხვევაში:

10.6.1 ნებისმიერი ეკონომიკური ზარალისთვის (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, შემოსავლის, მოგების, კონტრაქტების, ბიზნეს ან მოსალოდნელი დანაზოგების დაკარგვის); ან

10.6.2 კეთილი ნების ან რეპუტაციის ნებისმიერი სახით დაკარგვისთვის; ან

10.6.3 რაიმე განსაკუთრებული ან ირიბი ან თანმიმდევრული დანაკარგებისთვის

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, შეტანილია თუ არა ასეთი დანაკარგები წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების სფეროში მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, რომელიც გამოწვეულია ლიცენზიატის მიერ პროდუქტის გამოყენებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით ან ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით ამ შეთანხმების ფარგლებში.

10.7 მოცემული მე-10 პუნქტისადმი ზიანის მიყენების გარეშე, ლიცენზიარის ნებისმიერ ლიცენზორს არცერთ შემთხვევაში გააჩნია რაიმე პასუხისმგებლობა თანმიმდევრული ზიანის გამო, მათ შორის დაკარგული მოგების ან დაკარგული კეთილი ნების, არაპირდაპირი ზიანის, სპეციალურად მიყენებული ზარალის, შემთხვევით მიყენებული ზიანის, სადამსჯელო ზიანის ან/და სამაგალითო ზარალის გამო, გამომდინარე ამ შეთანხმებიდან და ლიცენზიარის ნებისმიერი ლიცენზიარის საერთო მაქსიმალური პასუხისმგებლობა ლიცენზიატის წინაშე (სამოქალაქო სამართალდარღვევისას, მათ შორის დაუდევრობის ჩათვლით ან ნორმატიული მოვალეობის დარღვევისას ან რაიმე სხვა შემთხვევაში) ნებისმიერი პირდაპირი ზარალის შემთხვევაში, გამომდინარე ამ შეთანხმებიდან, არ უნდა აღემატებოდეს სააბონენტო საფასურის თანხის ოდენობას.

11. ტრენინგები

ლიცენზიარი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგს პროდუქტის გამოყენების შესახებ ნებისმიერი მხარის შენობაში, როგორც შეთანხმებულია მხარეთა შორის და ასეთი შემდგომი დახმარება ცხელი ხაზის მეშვეობით ლიცენზიარს საკუთარი შეხედულებისამებრ მიაჩნია გონივრულად.



12. არანაირი სააგენტო

ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს რაიმე ფორმით ერთობლივი საწარმო ან მხარეთა შორის პარტნიორობა იქმნება, და არც ისე, თითქოს ვინმე ინიშნება დირექტორად, აგენტად, დისტრიბუტორად, მეორე მხარის ფრანჩაიზერად ან ფრანჩაიზის მიმღებად.

13. მთლიანი შეთანხმება

13.1 წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის მიღწეულ სრულ გაგებას, რომელიც ეხება პროდუქტის მიწოდებას და გამოყენებას და ყველა წინა შეთანხმების, გეგმის, წარმოდგენის ან ხელშეკრულების შეცვლას, შენაცვლებას და გაუქმებას. ლიცენზიატი გარანტიას იძლევა, რომ ამ შეთანხმების დადებისას არ ეყრდნობა ნებისმიერ სხვა განცხადებას, გარანტიას, წარმოდგენას ან ვალდებულებას გარდა იმისა, რომელიც პირდაპირ წერილობით წარმოდგენილია ლიცენზიარის მიერ ამ შეთანხმებაში და თანახმაა, რომ მას არ უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის საშუალება ფაქტების ნებისმიერი დამახინჯების შემთხვევაში, რომელიც არ არის განმარტებული ამ შეთანხმებით, იმის გამოკლებით, რომ მე-14 პუნქტში მოცემული ლიცენზიატის თანხმობა არ ვრცელდება ნებისმიერ თაღლითურ დამახინჯებაზე მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი განმარტებული ამ შეთანხმებაში.

13.2 ამ შეთანხმების მოდიფიცირება ან შეცვლა ძალაში რჩება, თუ იგი წერილობით შესრულდება და მას ხელს მოაწერს თითოეული მხარე ან მას ხელი მოეწერება მათი სახელით. იმ შემთხვევაში, თუ ამაზე პირდაპირ არ არის შეთანხმება მიღწეული, ასეთი მოდიფიკაცია ან შეთანხმება არ უნდა წარმოადგენდეს ან არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამ შეთანხმების ნებისმიერ დებულებებზე ზოგადი უარის თქმა და ასევე არ უნდა იმოქმედოს რომელიმე უფლებაზე, მოვალეობასა და ვალდებულებაზე ამ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია მოდიფიკაციის ან უარის თქმის თარიღამდე და მხარეთა უფლებები და მოვალეობები ამ შეთანხმების ფარგლებში უნდა დარჩეს სრულ ძალაში გარდა და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი შეცვლილია ან მოდიფიცირებულია.

14. არანაირი უარის თქმა

14.1 ამ შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებული უფლების განხორციელების შეუძლებლობა ან შეფერხება უფლების ან სამართლებრივი დაცვის საშუალების განხორციელებისას არ ნიშნავს უფლებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე უარის თქმას ან სხვა უფლებებსა და საშუალებებზე უარის თქმას.



14.2 უარის თქმა ამ შეთანხმების ნებისმიერი პირობის დარღვევაზე ან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ამ შეთანხმების ფარგლებში არ ნიშნავს უარის თქმას ნებისმიერ სხვა დარღვევაზე ან ვალდებულების შესრულებაზე და გავლენას არ ახდენს ამ შეთანხმების სხვა პირობებზე.

14.3 უარის თქმა ამ შეთანხმების ნებისმიერი პირობის დარღვევაზე ან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ამ შეთანხმების ფარგლებში ხელს არ უშლის მოთხოვნას, მხარემ შემდგომში დაიცვას უარყოფილი ვალდებულება.

14.4 ამ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები კუმულატიურია და (იმ პირობით, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით) არ გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებას ან დაცვის საშუალებას.

15. შენიშვნები

15.1 ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ნებისმიერი შეტყობინების გაგზავნა ან სხვა კომუნიკაცია უნდა მოხდეს ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან შეკვეთილი საფოსტო გზავნილის მიწოდების გზით მეორე მხარის მისამართზე, როგორც მოცემულია აქვე და ან სხვა მისამართზე, რომელიც მეშვეობით ასეთი მხარე დროდადრო ახდენს ინფორმაციის გაცვლას სხვა მხარესთან წერილობითი ფორმით და თუ:

15.1.1 გაგზავნილია ფაქსით, ჩაითვლება მიღებულად უშეცდომოდ გადაცემის შესახებ ანგარიშის მიღებისთანავე; ან

15.1.2 თუ მიწოდებულია შეკვეთილი საფოსტო გზავნილის მეშვეობით, ჩაითვლება მიწოდებულად მიწოდების შესახებ ფაქტურის გამოწერის დღეს და მისი ხელმოწერისთანავე; ან

15.1.3 თუ იგზავნება ელექტრონული ფოსტით, ჩაითვლება მიღებულად შეტყობინების გადაცემიდან 24 საათის შემდეგ, თუ გამგზავნი არ მიიღებს შეტყობინებას, რომ ასეთი ელექტრონული წერილი არ იქნა წარმატებით მიწოდებული. ამის დასადასტურებლად საკმარისი უნდა იყოს იმის დამტკიცება, რომ ელექტრონული წერილი გაიგზავნა მიმღების ელ-ფოსტის მისამართზე, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმებაზე თანდართულ გამოწერის ფორმაში და გაგზავნა დასტურდება გამგზავნის გარე ინტერფეისით.



15.2 მისამართები სხვა საკომუნიკაციო შეტყობინებების მისაწოდებლად შემდეგია:

ლიცენზიარი:

მისამართი: ფრონტენექსის გამზ. #8, 1207, ქენევა

შვეიცარია

ფაქსი: +41 22 735 48 93

ელ-ფოსტა: martin.pohanka@bvdingo.com

ლიცენზიატი: როგორც მოცემულია გამოწერის ფორმაში.

16. ფორსმაჟორი

მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე, და ნებისმიერი მიწოდების შეუძლებლობის ან ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით მიწოდების ან შესრულების გამო, თუ ეს გამოწვეულია მიზეზებით, რომელიც არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხელისუფლების მოქმედებებით, ხანძრით, სამუშაო პროცესის შეჩერებით, დეფიციტით, სამოქალაქო არეულობით, სატრანსპორტო პრობლემებით, ელექტროენერჯის ან კავშირგაბმულობის მიწოდების შეფერხებით, მისი მომწოდებლების და სუბკონტრაქტორების წარუმატებლობით, სტიქიური უბედურების ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებით.

17. უფლების არანაირი გადაცემა

დაუშვებელია, ლიცენზიატმა ლიცენზიარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს წინამდებარე შეთანხმების ან ამ შეთანხმებიდან გამომდინარე მისი უფლებების ან ვალდებულებების დათმობა, ქველიცენზიის პირობებით გადაცემა ან გადაცემა და ნებისმიერი ასეთი მცდელობა დათმობის, ქველიცენზიის პირობებით გადაცემის ან გადაცემის თაობაზე თავიდანვე ბათილია.

18. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

18.1 წინამდებარე შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში და შემდეგი ორი წლის მანძილზე მხარეები თანხმდებიან, რომ მეორე მხარისგან მიღებულ ყველანაირ ინფორმაციას, რომელიც ეხება მეორე მხარის ბიზნესს, ფინანსებს, ტექნოლოგიას და საქმეებს და კერძოდ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან ამ პროდუქტით, მიუხედავად პროდუქტის მკაცრად კონფიდენციალური ბუნებისა, არ გაუმჟღავნებენ მას მესამე მხარეს ან არ გამოიყენებენ მას საკუთარი მიზნებისთვის, გარდა წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებისა.



18.2 წინამდებარე მე-18 პუნქტი წყვეტს მოქმედებას და არ ვრცელდება:

18.2.1 ინფორმაციაზე, რომელიც განთავსდა საზოგადოებრივ დომენში აღნიშნული პუნქტის ან ნდობის რომელიმე ვალდებულების დარღვევის გარეშე;

18.2.2 ინფორმაციაზე, რომელიც მიღებულია მესამე მხარისგან ამ მუხლის ან ნდობის ნებისმიერი სხვა მოვალეობას დარღვევის გარეშე;

18.2.3 ინფორმაციაზე, რომელიც ცნობილია ნებისმიერი მხარისთვის მეორე მხარესთან დაკავშირებით, და რომელიც გამჟღავნებულია მესამე მხარის მიერ, გარდა ლიცენზიარისა ან ლიცენზიატის ან მათი ერთ-ერთი კონტრაქტორისა და არ შეიცავს ნებისმიერი მოვალეობის ან ნდობის ვალდებულებას დარღვევას;

18.2.4 ინფორმაციაზე, რომ ტრივიალური ან აშკარაა;

18.2.5 ინფორმაციაზე, რომლის გამხელა სახელმწიფო ორგანოსთვის ან კომპეტენტური სასამართლოსთვის აუცილებელია; და/ან

18.2.6 ინფორმაციაზე, რომელიც მიეწოდება იურიდიულ ან სხვა პროფესიულ მრჩეველებს, ნდობის ვალდებულების საფუძველზე.

19. გაყოფა

იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი განმარტება, პირობა ან დებულება განისაზღვრება არასწორად, უკანონოდ ან კანონიერი ძალის არმქონედ, მაშინ ასეთი განმარტება, პირობა ან დებულება გამოიყოფა დანარჩენი განმარტებისგან, პირობისგან და დებულებისგან იმდენად, რომ გაგრძელდეს მათი მოქმედება და აღსრულება კანონით დაშვებული სრული მოცულობით.

შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, თითოეული ვერსია თანაბრად ავთენტურია. ამ შეთანხმების დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

20. ინფორმაცია

ლიცენზიატი ამით აცნობიერებს, რომ ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს პროდუქტი, მოწოდებულია მესამე მხარეთა მიერ.



21. მესამე მხარეები

ამ შეთანხმების ნებისმიერი პირობა არ არის მიმართული იმისკენ, რომ ნებისმიერ პირს მიაწიოს სარგებელი ან ნებისმიერი პირის მიერ შესრულდეს, რომელიც არ არის ამ შეთანხმების მხარე.

22. მოქმედი კანონი

ეს შეთანხმება რეგულირდება და გაგებულია შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად და ლიცენზიატი ექვემდებარება შვეიცარიის სასამართლოების არაექსკლუზიურ იურისდიქციას.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

X EDITIONS ELECTRONIQUES SA AVENUE DE FRONTENEX 8 1207 GENEVE SWITZERLAND	X
---	---	---

სახელი რუდოლფ ჩეველა
 პოზიცია CEE-ს გენერალური მენეჯერი
 თარიღი 01/12/2016

სახელი
 პოზიცია
 თარიღი



საქართველოს საგარეო საკმეთაობის სამინისტრო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა	
თარგმანის ბიუროს	
სარეგისტრაციო/REGISTRATION №	0313/1-16
თარიღი/DATE	29.11.2016
დაამტკიცა/CERTIFIED BY	
Ministry of Foreign Affairs of Georgia TRANSLATION BUREAU of International Agreements of Georgia	

გამოწერის ფორმა

წინამდებარე ხელშეკრულება იდება კომპანიას Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A. და ქვემოთ მითითებულ ლიცენზიატს შორის, რომლის თანახმად კომპანია Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A. თანახმაა, ლიცენზიატს მიაწოდოს ამ შეთანხმებით განსაზღვრული გარკვეული უფლებები ლიცენზიატის მიერ გარკვეული განსაზღვრული ოდენობის საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

ლიცენზიატის სახელი: **AMADEUS, TP Catalyst & Royalty** ხელშეკრულებები

ლიცენზიატის მისამართი: სსიპ შემოსავლების სამსახური

ლიცენზიატთან კონტაქტი: ს/კ 204525585; საქართველო, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16;

ამით მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

სალიცენზიო პირობები მოითხოვს, რომ გამოწერის ამ ფორმაში მითითებულ იქნეს შემდეგი დებულებები, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების ნაწილს შეადგენენ:

პროდუქტი	Amadeus-ის მონაცემთა ბაზა ყველა კომპანია TP Catalyst Royalty მოდელი TP Catalyst
გამოწერის საფასური	52,200 - აშშ დოლარი (61 596 აშშ დოლარი, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით)
საბანკო ანგარიში:	IBAN: CH32 0483 5012 8395 5200 1 SWIFT code: CRESCHZZ80A
მიწოდების მეთოდი	ონლაინ წვდომა https://amadeus.bvdinfo.com/ https://tpcatalyst.bvdep.com
ერთდროული ან ავტორიზებული მომხმარებლები	2 (ორი)
ვადა	01.12.2016 – 01.12.2017
ნებადართული ობიექტები	სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველო
ჩამოტვირთვის ლიმიტი	ლიმიტი არ მოქმედებს

ეს შეთანხმება მოიცავს გამოწერის ფორმას, თანდართულ სალიცენზიო პირობებს, შეთანხმებას მომსახურების დონეზე, დადებულს მხარეებს შორის ამ შეთანხმების თარიღის დღეს ან მასთან დაახლოებულ დღეს (შემდგომში „შეთანხმება მომსახურების დონეზე“) და ნებისმიერ შეთანხმებულ დამატებებს და (თუ წერილობით სხვაგვარად არ არის



გამოწერის ფორმა

წინამდებარე ხელშეკრულება იდება კომპანიას Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A. და ქვემოთ მითითებულ ლიცენზიატს შორის, რომლის თანახმად კომპანია Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A. თანახმაა, ლიცენზიატს მიაწოდოს ამ შეთანხმებით განსაზღვრული გარკვეული უფლებები ლიცენზიატის მიერ გარკვეული განსაზღვრული ოდენობის საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

ლიცენზიატის სახელი: **AMADEUS, TP Catalyst & Royalty** ხელშეკრულებები

ლიცენზიატის მისამართი: სსიპ შემოსავლების სამსახური

ლიცენზიატთან კონტაქტი: ს/კ 204525585; საქართველო, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16;

ამით მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

სალიცენზიო პირობები მოითხოვს, რომ გამოწერის ამ ფორმაში მითითებულ იქნეს შემდეგი დებულებები, რომლებიც წინამდებარე შეთანხმების ნაწილს შეადგენენ:

პროდუქტი	Amadeus-ის მონაცემთა ბაზა ყველა კომპანია TP Catalyst Royalty მოდელი TP Catalyst
გამოწერის საფასური	52,200 - აშშ დოლარი (61 596 აშშ დოლარი, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით)
საბანკო ანგარიში:	IBAN: CH32 0483 5012 8395 5200 1 SWIFT code: CRESCHZZ80A
მიწოდების მეთოდი	ონლაინ წვდომა https://amadeus.bvdinfo.com/ https://tpcatalyst.bvdep.com
ერთდროული ან ავტორიზებული მომხმარებლები	2 (ორი)
ვადა	01.12.2016 – 01.12.2017
ნებადართული ობიექტები	სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველო
ჩამოტვირთვის ლიმიტი	ლიმიტი არ მოქმედებს

ეს შეთანხმება მოიცავს გამოწერის ფორმას, თანდართულ სალიცენზიო პირობებს, შეთანხმებას მომსახურების დონეზე, დადებულს მხარეებს შორის ამ შეთანხმების თარიღის დღეს ან მასთან დაახლოებულ დღეს (შემდგომში „შეთანხმება მომსახურების დონეზე“) და ნებისმიერ შეთანხმებულ დამატებებს და (თუ წერილობით სხვაგვარად არ არის



შეთანხმებული) წარმოადგენს მხარეებს შორის მიღწეულ მთლიან ხელშეკრულებას აქვე მოცემულ საგანთან დაკავშირებით და ცვლის ყველა ადრე მიღწეულ შეთანხმებას, ხელშეკრულებას, წარმომადგენლობას და ვალდებულებას, შესრულებულს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით (თაღლითობის შემთხვევების გარდა). თუ წინამდებარე გამოწერის ფორმა ან შეთანხმება მომსახურების დონეზე განსხვავდება სალიცენზიო პირობებისგან, მაშინ უპირატესობა ენიჭება გამოწერის ფორმისა და მომსახურების დონეზე არსებული შეთანხმების დებულებებს. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია თითოეული მხარის სათანადოდ შესრულებული წერილობითი დოკუმენტის გარეშე.

წინამდებარე შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა (და რაც, ფაქტიურად, არ გამოირიცხება ამ შეთანხმებით), არ არსებობს სხვა გარანტია ან განცხადება, ზუსტად გამოხატული თუ ნაგულისხმევი, რომელიც გაცხადებულია კომპანიის Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A. მიერ და ლიცენზიატის ყურადღება განსაკუთრებით მიმართულია პირობებზე [3 (ლიცენზია ვადა და მიწოდება), 7 (გადახდები), 11 (გარანტიები) და 13 (პასუხისმგებლობის შეზღუდვა)]

ამით გამოწერის ფორმის და თანდართული სალიცენზიო პირობების შინაარსი შეთანხმებული და მიღებულია და მხარეები, მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილი ქვემოთ მითითებული წარმომადგენლების ხელმოწერით გამოხატავენ თანხმობას:

Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A.

BUREAU VAN DIJK
EDITIONS ELECTRONIQUES SA
AVENUE DE FRONTENEX 8
1207 GENEVE
SWITZERLAND

X

X

სახელი
პოზიცია

რუდოლფ ჩეველა
CEE-ს გენერალური მენეჯერი

სახელი
პოზიცია

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

თარიღი

01/12/2016

თარიღი

29/11/2016

ლიცენზიატი



ქმის ვ.ე.ბ.

გიორგი




საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2204 2016 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ კომპანია Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A.-სგან მონაცემთა ბაზა „Amadeus“-ით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა ბაზა „Amadeus“-ით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს კომპანია Bureau Van Dijk Editions Electroniques S.A.-სგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი


გიორგი კვირიკაშვილი



21 218129/2
10 ბ